

განახლებულია 01.05.2026 წ.

| | |
|--|--|
| საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება | საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | აგრარული ტექნოლოგიები/Agrarian Technology |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | პირველი ნაწილი: აგრონომიის მაგისტრი/Master in Agronomy მეორე ნაწილი: კვლევის მაგისტრი აგრონომიაში/Research master in Agronomy |
| პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი | შოთა ლომინაძე, ასოცირებული პროფესორი, : shota.lominadze@bsu.edu.ge ოთარ შაინიძე, პროფესორი, otari.shainidze@bsu.edu.ge |
| პროგრამის სტრუქტურა/ECTS-მოცულობა, სასწავლო გეგმა (იხ. დანართი №1) | პირველი ნაწილი: 60 ECTS მეორე ნაწილი: 60 ECTS |
| სწავლების ენა | ქართული ენა |
| საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა | <p>პირველი ნაწილი: პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ საერთო სამაგისტრო გამოცდა; ✓ შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები: უცხო (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) ენა - B2 დონე და სპეციალობა; ✓ მობილობის წესით ჩარიცხვა; ✓ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით. <p>მეორე ნაწილი: პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ პროგრამის პირველი ნაწილი; ✓ მობილობის წესით ჩარიცხვა. |

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

პირველი ნაწილი:

- ✓ მოამზადოს აგრარული განათლების მქონე, თეორიულ, პრაქტიკულ და კვლევით საქმიანობაზე ორიენტირებული სპეციალისტი, კონკრეტული ამოცანის დასმისა და მისი გადაწყვეტის უნარ- ჩვევებით, როგორც კლასიკური მეთოდებით, ასევე თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.
- ✓ შეასწავლოს სტუდენტს სასოფლო-სამეურნეო კულტურების სხვადასხვა სახეობების ჯიშები, ჰიბრიდები მათი ბიოტექნოლოგია და მოვლა მოყვანის აგროტექნოლოგია; ბუნებრივ და ხელოვნურ სისტემებში მიმდინარე პროცესები; ნიადაგური საფარის სახეობები და განოყიერების სისტემები; თესლისა და სარგავი მასალის წარმოების ტექნოლოგიები; მავნებლები, დაავადებები და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ხერხები; მიწათმოწყობის, ჰიდრომელიორაციის, აგრომეტეოროლოგიის, აგრომეტეოვების და ბიომეურნეობის მოწყობის ტექნოლოგიები და მეთოდები.
- ✓ მოამზადოს აგრონომიის მაგისტრი ღრმა და სისტემური ცოდნით, კომუნიკაციის უნარებით, რომელიც ადვილად შეძლებს დინამიკურად ცვლად გარემოში ორიენტირებას; საკუთარი უწყვეტი პროფესიული განვითარების დაგეგმვას თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით.

მეორე ნაწილი:

- ✓ მოამზადოს აგრარული განათლების მქონე, თეორიულ, პრაქტიკულ და კვლევით საქმიანობაზე ორიენტირებული სპეციალისტი, კონკრეტული ამოცანის დასმისა და მისი გადაწყვეტის უნარ- ჩვევებით, როგორც კლასიკური მეთოდებით, ასევე თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.
- ✓ შეასწავლოს სტუდენტს აგროტექნოლოგიის, აგროეკოლოგიის, მცენარეთა დაცვის და აგროცენოზთა გასაშენებლად მცენარეთა სახეობების შერჩევის კვლევის მეთოდები, მინდვრისა და ლიზიმეტრული ცდების დაყენების, მცენარეთა მავნე ორგანიზმების იდენტიფიკაციის მოლოლეკულურ-გენეტიკურ, კვლევის პროცესებში მიღებული მონაცემების სტატისტიკური დამუშავების მეთოდებს.
- ✓ მოამზადოს აგრონომიის კვლევის მაგისტრი ღრმა და სისტემური ცოდნით, კომუნიკაციის უნარებით, რომელიც ადვილად შეძლებს დინამიკურად ცვლად გარემოში ორიენტირებას; საკუთარი უწყვეტი პროფესიული განვითარების დაგეგმვას თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით.

სწავლის შედეგები

პირველი/მეორე ნაწილი:

- ✓ აცნობიერებს აგრარული დარგის მნიშვნელობას ქვეყნის განვითარების საქმეში და მოიაზრებს თავის თავს ამ პროცესში
- ✓ ახასიათებს ნიადაგის შედგენილობას და თვისებებს, სათესლე და სარგავ მასალებს, მცენარის ვეგეტაციურ და გენერაციულ ორგანოებს, ცალკეულ ჯიშებს, მცენარეთა მავნე ორგანიზმების მორფოლოგიურ-ანატომიურ სტრუქტურებს, გავრცელების გზებს, მავნებელ-დაავადებებით გამოწვეულ სიმპტომებს, განვითარების ხარისხს, მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს.
- ✓ აანალიზებს ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების მოვლა-მოყვანის, მცენარეთა სწრაფი გამრავლების, ჯანსაღი თესლის და სარგავი მასალის მიღების საკითხებს. აანალიზებს მცენარეთა ბიოტექნოლოგიის, ახალი ჯიშების გამოცდის, წარმოებაში დანერგვის, მოსავლის პროგნოზირების, ტყის აღდგენისა და ეკოლოგიის საკითხებს, ასევე .სასურსათო - ეკოლოგიურ პოტენციალს.
- ✓ განიხილავს აგროეკოსისტემებს; ნიადაგის დამუშავების, მინერალური, ორგანული, ბიოლოგიური სასუქების გამოყენების და მცენარეთა მოვლა მოყვანის ტექნოლოგიებს; ასევე ეკოლოგიურად უსაფრთხო სასურსათო პროდუქციის წარმოების პრინციპებს;
- ✓ ახორციელებს მცენარეთა გამრავლებას აგროვადების და სტანდარტების შესაბამისად; სარგავი და სათესლე მასალის წარმოებას; მცენარეთა დაცვის უსაფრთხო ღონისძიებებს; ბიომეთოდებით პროდუქციის წარმოებას; ნიადაგის განოყიერებასა და ჰიდრომელიორაციულ სამუშაოებს.
- ✓ აანალიზებს აგროტექნოლოგიის, აგროეკოლოგიის, მცენარეთა დაცვის და აგროცენოზთა ქარსაფარი ზოლების გასაშენებლად მცენარეთა სახეობების შერჩევის კვლევის მეთოდებს, მინდვრისა და ლიზიმეტრული ცდების დაყენების, მცენარეთა მავნე ორგანიზმების იდენტიფიკაციის მოლეკულურ-გენეტიკურ, კვლევის პროცესებში მიღებული მონაცემების სტატისტიკური დამუშავების მეთოდებს.
- ✓ განიხილავს მცენარეთა მავნე ორგანიზმების იდენტიფიკაციის, მავნებელ-დაავადებების მიერ გამოწვეული სიმპტომთა კომპლექსის, გამომწვევთა გავრცელება-განსახლების და მათი კონტროლის მეთოდებს;
- ✓ ახორციელებს მცენარეთა ახალი ჯიშების გამოცდას, მის წარმოებაში დანერგვას, მოსავლის პროგნოზირებას და თანამედროვე აგრო და ბიოტექნოლოგიური კვლევის მეთოდების, ნიადაგის ნაყოფიერების მართვის, მცენარეთა დაცვის ღონისძიებების გათვალისწინებით.
- ✓ პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით შეთანხმებულად მუშაობს მულტიდისციპლინურ გუნდში; უწევს მას კოორდინაციას; იღებს დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებსა და მათზე პასუხისმგებლობას.
- ✓ სათანადო რესურსების ავტონომიურად მოძიების, ანალიზისა და სინთეზის მეშვეობით დამოუკიდებლად წარმართავს კვლევით პროცესს და ქმნის კვლევითი ხასიათის ნაშრომს.
- ✓ იყენებს თანამედროვე აგრარული ტექნოლოგიური პრაქტიკისათვის აუცილებელ მეთოდებს (მათ შორის წერიითი, გრაფიკული, კომუნიკაციური და სხვ.) ტექნიკასა და კომპიუტერულ პროგრამებს.
- ✓ გეგმავს საკუთარ უწყვეტ პროფესიულ განვითარებას.